ეროვნული ბიბლიოთეკა

21

# სალომე ზურაბიშვილი – საქართველოს გზა

რატომ უნდა მიიღოთ არჩევნებში მონაწილეობა?

- რადგან არ მისვლა ნიშნავს თქვენი ქალაქის და ქვეყნის მომავალზე ხელის ჩაქნევას.

- რადგან არ მისვლა ხელს უხნის გაყალბებას

- რადგან არსებობს გამარჯვების რეალური შანსი, თუ ნაციონალური მოძრაობა ვერ გადალახავს 30%-ს, გაიმართება მეორე ტური; მაშინ ჩვენი მოგება გარდაუვალია.

რატომ უნდა აირჩიოთ "სალომე ზურაბიშვილი – 'საქართველოს გზა" და შემოხაზოთ 21?

- ჩვენ ვართ ახალი პარტია, სადაც თქვენი « სახეებია », და არა ის « ცნობილი სახეები », რომლებსაც ხედავთ ბოლო თხუთმეტი წელია.

ჩვენ არ გატყუებთ დაპირებებით და გთავაზობთ ერთად მოვუაროთ ქალაქს და ქვეყანას.



ეროვნული ბიბლიოთეკა
n 167/1573

# დიდუბე

მიხეილ მიქელაძე (1963 წ.) ეკონომისტი – გადამზადების ფართო პროფილით – ამჟამად შ.პ.ს. "ფრანკე კავკასუსის" დირექტორი. მუშაობდა საქართველოს ეროვნული ბანკის საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილებაში, ნიდერლანდების, აშშ-ს სავაჭრო კომპანიების წარმომადგენელი ამიერკავკასიასა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში.

ვაჟა მათიაშვილი (1946 წ.) ეკონომისტი; მუშაობდა საქართველოს ვაჭრობის სამინისტროში საქონელმცოდნედ, "ინტურისტის" თბილისის გაერთიანების უფროს ეკონომისტად, გაერთიანება "ინტურისტის" სასტუმრო "უშბის" შემდეგ "აჭარის" დირექტორის მოადგილედ. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ირაკლი მიქელაძე (1932 წ.) ბიოლოგ-ბოტანიკოსი, ეკოლოგიისა და მცენარეთა ეკოლოგიის სპეციალისტი ბიოლოგიური მედიცინისა და ეკოლოგიის ინსტიტუტის მოწვეული ასოცირებული პროფესორი. იყო სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის ბოტანიკის კათედრის გამგე, ბოტანიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

ჟუჟუნა მითაიშვილი (1969 წ.) კინოთმცოდნე. იყო საერთაშორისო კინოფესტივალ "პრომეთეს" ორგანიზატორი, ქ. თბილისის შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგი, საქართველოს იუნესკოს ასოციაციის პროექტის მენეჯერი, საერთაშორისო რეკლამის ფესტივალის CIFA-ს ნაციონალური კონკურსის თავმჯდომარე.

დაიბეჭდა შ.პ.ს. „სტამბა ქომი"-ს მიერ ტირაჟი: 2000 ცალი